



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2012 წლის 6 ივლისის
 №733 დადგენილებით

მოდირიცირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 წლის
 № დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ტრანსპორტი
Transport

ფაკულტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
Faculty of Transportation and Mechanical Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

სრული პროფესორი ვარლამ ლეკიაშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

<p>ინჟინერიის მაგისტრი ტრანსპორტში არჩეული სამაგისტრო თემატიკის შესაბამისი სპეციალიზაციით:</p> <p>ა) ინჟინერიის მაგისტრი ტრანსპორტში საავტომობილო ტრანსპორტის სპეციალიზაციით;</p> <p>ბ) ინჟინერიის მაგისტრი ტრანსპორტში სარკინიგზო ტრანსპორტის სპეციალიზაციით;</p> <p>გ) ინჟინერიის მაგისტრი ტრანსპორტში სპეციალური ტრანსპორტის სპეციალიზაციით;</p> <p>დ) ინჟინერიის მაგისტრი ტრანსპორტში სატრანსპორტო ლოჯისტიკის სპეციალიზაციით;</p> <p><i>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში</i></p>

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

120 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

<p>სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ტრანსპორტის დარგში დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი სირთულის და მოცულობის გადაზიდვითი პროცესების მართვას, სატრანსპორტო ობიექტების დაპროექტებას, კონსტრუქციულ მოდერნიზირებას, რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვას, ტრანსპორტის ეფექტიან ფუნქციონირებას უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის პირობების დაცვით, მათ შორის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას; დაამუშავებს და დანერგავს ინოვაციურ პროგრესულ ტექნოლოგიებს ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით; ჩაატარებს კვლევებს და</p>

შეასრულებს ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებებს იმ ღონისძიებათა დამუშავებისას, რომლებიც მიმართულია ტრანსპორტის ეფექტური მუშაობის ამაღლებისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება:

- ტრანსპორტის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, პრობლემური საკითხების ჩამოყალიბების სტრატეგიის ფორმულირებისათვის საჭირო ცოდნა, რომელიც იძლევა ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას თანამედროვე მეთოდების გაცნობიერებით;
- ტრანსპორტის სფეროში ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერება;
- ტრანსპორტის ეფექტიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შერჩევის, მათი კლასიფიკაციის, შედარების და შეჯამების თანამედროვე მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება.
- კონკრეტულ საქსპლუატაციო პირობებში სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების კრიტიკული ანალიზის, მუშაობის პარამეტრების სინთეზის და შედეგების ურთიერთშედარების თეორიული საკითხების ცოდნა და გაცნობიერება,
- ტრანსპორტის მუშაობის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის და მისი ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმების ცოდნა და გაცნობიერება;
- ტრანსპორტის დარგში დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის, შესაბამისი დროითი ჩარჩოების დადგენისა და სამუშაოთა შესრულების გრაფიკების შედგენის, გადაზიდვების ორგანიზაციულ-სტრუქტურული და დროითი განაწილების სქემის შედგენისა და კორექტირების თანამედროვე მეთოდების სისტემური ცოდნა და გაცნობიერება;
- გადაზიდვების წლიური გეგმის დიფერენცირება თვეებისა და დღეების მიხედვით, სატრანსპორტო გადაზიდვების გეგმაზომიერი და სეზონური ცვლილებებისას მისი ოპერატიული მართვის და ორგანიზების თანამედროვე მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- სატრანსპორტო საშუალებათა კონსტრუქციული სრულყოფის თანამედროვე მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა და გაცნობიერება;
- ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფის და საიმედოობის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა;
- ტრანსპორტის სფეროში ეკოლოგიური უსაფრთხოების კვლევის, ანალიზისა და მათი ამაღლების კომპლექსურ ღონისძიებათა ცოდნა და გაცნობიერება;
- ტერმინალების და საკვანძო სატვირთო პუნქტების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასებისა და ანალიზის ცოდნა და გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ტრანსპორტის სფეროში ახალ, გაუთვალისწინებელ, ექსტრემალურ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება;
- ტრანსპორტის სფეროში კრიტიკული აზროვნების, ახალი ინფორმაციის მიღების,

დამუშავებისა და კრიტიკული ანალიზის უნარი;

- ტრანსპორტის სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;
- სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედებისას ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის დამუშავების და გადაზიდვითი პროცესების ინტენსიფიკაციის მართვის უნარი;
- კონკრეტული სატრანსპორტო ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტის უნარი;
- სატრანსპორტო საშუალებათა საექსპლუატაციო-ტექნიკური მაჩვენებლების ოპტიმიზაცია, მათი თანამედროვე მეთოდებით გამოთვლის და დადასტურების უნარი;
- ტრანსპორტის დარგში დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის უნარი, სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და ტრანსპორტის სფეროში სისტემური ცოდნისა და მაღალი პროფესიონალიზმის გამოვლენის უნარი;
- სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური ზემოქმედების ოპტიმალური სისტემის, მეთოდებისა და ფორმების კონკრეტულ პირობებში დამუშავების უნარი;
- სატრანსპორტო გადაზიდვების მართვის პროცესში მოძრაობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნორმატიული მაჩვენებლების კორექტირების და დაცვის უნარი;
- ფორსმაჟორული სიტუაციების წარმოქმნისას დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების შესრულებისას სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის სწორად შეფასების, გადაუდებელი სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.
- ტრანსპორტის მდგრადი განვითარებისათვის ტექნიკური ანალიზის ჩატარების, უსაფრთხო ფუნქციონირების კონცეფციების და მოძრავ შემადგენლობათა რესურსის მართვის უნარი;

დასკვნის უნარი:

- ტრანსპორტის დარგში სრული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;
- გუნდური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის, ინიციატივისა და დასაბუთებული დასკვნების გამოვლენის უნარი;
- ტრანსპორტის დარგის ხარისხის მართვის სისტემის თანამედროვე მეთოდების გამოყენების დასაბუთების უნარი;
- სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის მაჩვენებლებისა და მათი გადახრების საფუძველზე ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნის უნარი;
- ტრანსპორტის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის შესახებ დასკვნის უნარი;
- ტრანსპორტის ეფექტიანობის შემფასებელი კრიტერიუმების, ტექნიკურად მზადყოფნის და გამოყენების კოეფიციენტების ანალიზისა და დასკვნის უნარი;
- ტრანსპორტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის დასახული ღონისძიებებით მიღებული ეფექტიანობის განსაზღვრისა და ანალიზის უნარი;

კომუნიკაციის უნარი:

- თავისი დასკვნების, არგუმენტირებული მსჯელობის, კვლევის მეთოდების და მიღებული შედეგების სრულყოფილად და გასაგებად წარმოჩინების უნარი აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე;
- ტრანსპორტის სფეროში კვლევის წარმოების და მათი შედეგების გასაჯაროებისას აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვა;
- ტრანსპორტის სფეროში აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კვლევის შედეგების, მეთოდების და დარგის პრობლემატიკის წარმოჩინება თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით.

სწავლის უნარი:

- სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.
- ტრანსპორტის სფეროში პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით,

საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა;

ღირებულებები:

- ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა და პროფესიული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
- ტრანსპორტის სფეროში მოძრაობის, ეკოლოგიური და სიცოცხლის უსაფრთხოების ამალეებისკენ მუდმივი სწრაფვა, კვლევების წარმოება მათი გაუმჯობესებისთვის და დამკვიდრებისთვის ზრუნვა.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა
 საკურსო სამუშაო/პროექტი დამოუკიდებელი მუშაობა სამაგისტრო ნაშრომი

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს.

გთავაზობთ სწავლებისა და სწავლის ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს და მათ განმარტებებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამალეებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. **ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

6. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

7. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. როლური და სიტუაციური თამაშები – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

9. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

10. ინდუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

11. დედუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

12. ანალიზის მეთოდი – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

13. სინთეზის მეთოდი – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

14. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

15. წერითი მუშაობის მეთოდი – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

16. ლაბორატორიული მეთოდი – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

17. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას.

18. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

19. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

20. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

21. ელექტრონული სწავლება (E-learning) – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიაური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პედაგოგისა და სტუდენტების

საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;

- დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს;
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური) - სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf> (დანართი 1).

კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/study/scavleba/samag_Sefas.pdf (დანართი 2).

დასაქმების სფერო

პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნით კურსდამთავრებულებს შეეძლება წარმატებული მუშაობა და კარიერული ზრდა სატრანსპორტო და ლოჯისტიკური კომპანიებში, ინფრასტრუქტურის მართვის კომპანიებში: პორტები, ინტერმოდალური ტერმინალები, ლოჯისტიკური ცენტრები, სასაწყობო მეურნეობები, სავაჭრო კომპანიები, სხვა სახის ორგანიზაციები, რომლებიც ყიდულობენ ან ქმნიან სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ სერვისს; საერთაშორისო და ადგილობრივი გადამზიდავი ფირმებში, ავტოსერვისის, მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ცენტრებში. სს „საქართველოს რკინიგზის“ ცენტრალური აპარატში; რკინიგზის სახაზო ორგანიზაციებში; მეტროპოლიტენში. ამწე-სატრანსპორტო, ტექნოლოგიური და სპეციალური ტრანსპორტირების მანქანების და მექანიზმების, მოწყობილობების დამამზადებელ ქარხნებში, გზების, ხიდების, გვირაბების, ჰიდრო-ტექნიკურ, სამხედრო-საინჟინრო, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების მშენებელ ორგანიზაციებში, სამშენებლო მანქანების მომსახურებისა და შემკეთებელი ორგანიზაციებში. ასევე, კვლევით და საპროექტო ორგანიზაციებში, შესაბამისად მათ სადილერო და კომერციულ კომპანიებში, სახელმწიფო ზედამხედველობის სტრუქტურებში, საექსპერტო ბიუროებში, სასწავლო დაწესებულებებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში (დანართი 3).

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 60

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	I წელი		II წელი		სულ, კრედიტები
		სემესტრი I	სემესტრი II	სემესტრი III	სემესტრი IV	
	სასწავლო კომპონენტი:					
1	სასწავლო კურსები	30	25	20		75
	კვლევითი კომპონენტი:					
2	სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი		5			5
3	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი			10		10
4	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა				30	30
ECTS კრედიტები	სემესტრში	30	30	30	30	120
	კურსზე	60		60		120

„სარკინიგზო ტრანსპორტის“ სპეციალიზაციის სამაგისტრო თემატიკის „სარკინიგზო ტრანსპორტი“ საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
			I	II	III	
1	BUCOE07	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)	არ გააჩნია	5	-	-
	BUCOF07	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)				
	BUCOG07	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)				
	BUCOR07	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)				
2	TTTPE07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ გააჩნია	-	5	-

№	საგნის კოდი	საგანი	დამკვეთის წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
	TTTTPF07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)				
	TTTTPG07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)				
	TPTTR07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)				
3	BCME007	სამეწარმეო და ტენოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	არ გააჩნია	5		
4	RTI5005	სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება	არგააჩნია	4		
5	ITS5105	ინფორმაციის გადაცემის სისტემები სარკინიგზო ტრანსპორტზე	არგააჩნია	3		
6	RRP5205	ჩქაროსნული სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვები	არგააჩნია	3		
7	TOC5305	სარელსო წრედების თეორია	არგააჩნია	4		
8	TOE5405	ელექტრული წევის თეორია	არგააჩნია	3		
9	COO5505	რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ინდივიდუალური რესურსის მართვა ექსპლუატაციაში	არგააჩნია	3		
10	RPS5605	რკინიგზის ელექტრომომარაგების სისტემები და ავტომატიზაცია	ელექტრული წევის თეორია		3	
11	DCS5705	დისპეტჩერული მართვის სისტემები სარკინიგზო ტრანსპორტზე	ინფორმაციის გადაცემის სისტემები სარკინიგზო ტრანსპორტზე		3	
12	DOC5805	ვაგონების დინამიკა	არგააჩნია		4	
13	DAM5905	დისკრეტულ ავტომატთა თეორია სარკინიგზო ტრანსპორტზე	სარელსო წრედების თეორია		3	
14	EEC6005	ელექტრომავლების ელექტრომომწყობილობა, მართვა და ავტომატიზაცია	ელექტრული წევის თეორია		3	
15	IOR6105	რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ინტენსიფიკაცია	სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება		4	
16	MMR6205	რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მათემატიკური მოდელირება	რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ინტენსიფიკაცია		4	
17	DCR6305	ვაგონების კონსტრუირება და გაანგარიშება	ვაგონების		5	

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
			დინამიკა			
18	DAC6405	მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრომაგვლები ასინქრონული ამძრავით	ელექტრული წევის თეორია			4
19	PRT6505	რკინიგზის სადგურების განვითარების პრობლემები	რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ინტენსიფიკაცია			4
20	STD6605	სარკინიგზო ავტომატიკის სასადგურო სისტემები და ტექნიკური დიაგნოსტიკა.	სარელსო წრედების თეორია; დისკრეტულ ავტომატთა თეორია სარკინიგზო ტრანსპორტზე			3
სემესტრში				30	25	20
წელიწადში				55		20
სულ				75		

**”საავტომობილო ტრანსპორტის” სპეციალიზაციის სამაგისტრო თემატიკის
”საავტომობილო ტრანსპორტი” საგნობრივი დატვირთვა**

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
1	BUCOE07	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)	არ გააჩნია	5	-	-
	BUCOF07	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)				
	BUCOG07	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)				
	BUCOR07	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)				
2	TTTPE07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ გააჩნია	-	5	-
	TTTPF07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)				
	TTTPG07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)				
	TPTTR07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)				
3	BCME007	სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	არ გააჩნია	5		

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
4	FUENR05	საინჟინრო კვლევის საფუძვლები	არ გააჩნია	5		
5	TRASA05	საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა	არ გააჩნია	5		
6	ECSE05	ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა	არ გააჩნია	5		
7	ECOS105	ავტომობილების ეკოლოგიურობის ნორმები	არ გააჩნია	5		
8	MVTRA05	საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების ავტო-ტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზა	საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა		5	
9	ECOS205	ავტომობილების ეკოლოგიურობის ანალიზი	ავტომობილების ეკოლოგიურობის ნორმები		5	
10	VEREM05	ავტომობილის საიმედოობა და მისი მართვა	არ გააჩნია		5	
	MVSD105	ავტომობილების სერვისის ოპერაციული სისტემები	არ გააჩნია		5	
11	FUROT05	საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონალური რგოლები	არ გააჩნია			5
12	TEPRT05	საავტომობილო გადაზიდვების ტექნოლოგია, ორგანიზაცია და მართვა	არ გააჩნია			10
13	MVSD205	ავტომობილების დიაგნოსტიკა	ავტომობილების სერვისის ოპერაციული სისტემები			5
სემესტრში				30	25	20
წელიწადში				55		20
სულ				75		

**”სპეციალური ტრანსპორტის” სპეციალიზაციის სამაგისტრო თემატიკის
”სპეციალური ტრანსპორტი” საგნობრივი დატვირთვა**

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
1	BUCOE07	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)	არ გააჩნია	5	-	-
	BUCOF07	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)				
	BUCOG07	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)				
	BUCOR07	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)				
2	TTTPE07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ გააჩნია	-	5	-
	TTTTF07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)				
	TTTTG07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)				
	TPTTR07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)				
3	BCME007	სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	არ გააჩნია	5		
4	AMSTT05	სამაგისტრო თემის სამეცნიერო-ტექნიკური ტენდენციების გაცნობა (იდენტიფიცირება)	არ გააჩნია	10		
5	TMOSC05	მექანიკური რხევების თეორია	არ გააჩნია	5		
6	LSHAT05	შრომის უსაფრთხოება დატვირთვა-განტვირთვის და ტრანსპორტირების დროს	არ გააჩნია	5		
7	TRETR05	ტრიბოტექნიკა-ტრიბოლოგია	არ გააჩნია		5	
8	VIBRO05	ვიბრაციული მანქანები	არ გააჩნია		6	
9	HMSRT05	საზღვაო და სარკინიგზო ტერმინალების ამწე-სატრანსპორტო საშუალებები	არ გააჩნია		4	
10	LSMME05	ამწე-სატრანსპორტო მანქანები მანქანათმშენებლობაში	არ გააჩნია		5	
11	MMSRT05	საზღვაო და სარკინიგზო ტერმინალების მექანიზაციის საშუალებები	საზღვაო და სარკინიგზო ტერმინალების ამწე-სატრანსპორტო საშუალებები			7
12	ITTME05	საწარმო-ტექნოლოგიური ტრანსპორტი მანქანათმშენებლობაში	ამწე-სატრანსპორტო მანქანები მანქანათმშენებლობაში			6
13	PHTCI05	პნევმო და ჰიდრავლიკური ტრანსპორტი სამშენებლო ინდუსტრიაში	ტრიბოტექნიკა-ტრიბოლოგია;			7

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
			მექანიკური რხევების თეორია			
სემესტრში				30	25	20
წელიწადში				55		20
სულ				75		

**”სატრანსპორტო ლოგისტიკის” სპეციალიზაციის სამაგისტრო თემატიკის
”სატრანსპორტო ლოგისტიკა” საგნობრივი დატვირთვა**

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
1	BUCOE07	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)	არ გააჩნია	5	-	-
	BUCOF07	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)				
	BUCOG07	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)				
	BUCOR07	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)				
2	TTTPE07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ გააჩნია	-	5	-
	TTTPF07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)				
	TTTPG07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)				
	TPTTR07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)				
3	BCME007	სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	არ გააჩნია	5		
4	SCM0005	მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი	არ გააჩნია	5		
5	LRTL205	სატრანსპორტო კანონმდებლობა და ლოგისტიკის სამართლებრივი რეგულირება	არ გააჩნია	5		
6	TREC005	ტრანსპორტის ეკონომიკა	არ გააჩნია	5		
7	CBOTR05	საბაჟო საქმე ტრანსპორტზე	არ გააჩნია	5		
8	TRLOG05	სატრანსპორტო ლოგისტიკა	არ გააჩნია		5	
9	TRLC205	სატრანსპორტო ლოგისტიკური კომპლექსები	არ გააჩნია		5	
10	LSPL005	ლოგისტიკის სისტემების დაგეგმარება	არ გააჩნია		5	
11	OMIS205	საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა	არ გააჩნია		5	

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
12	INRL205	საერთაშორისო და რეგიონალური ლოგისტიკა	არ გააჩნია			5
13	ITSE205	საერთაშორისო სატრანსპორტო საექსპედიციო მომსახურება	არ გააჩნია			6
14	RTI5005	სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება	არ გააჩნია			4
15	ITIL005	ინფორმაციული ტექნოლოგიები ლოგისტიკაში	არ გააჩნია			5
სემესტრში				30	25	20
წელიწადში				55		20
სულ				75		

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	BUCOE07	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)	x	x		x		x
	BUCOF07	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)	x	x		x		x
	BUCOG07	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)	x	x		x		x
	BUCOR07	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	x	x		x		x
2.	TTTPE07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	x	x		x	x	
	TTTPF07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	x	x		x	x	
	TTTPG07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	x	x		x	x	
	TPTTR07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	x	x		x	x	
3.	BCME007	სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	x	x		x	x	
„სარკინიგზო ტრანსპორტის“ სპეციალიზაცია								
4.	RTI5005	სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება	x	x	x			
5.	ITS5105	ინფორმაციის გადაცემის სისტემები სარკინიგზო ტრანსპორტზე	x	x	x			

6.	RRP5205	ჩქაროსნული სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვები	X	X	X			X
7.	TOC5305	სარელსო წრედების თეორია	X	X	X		X	
8.	TOE5405	ელექტრული წევის თეორია	X	X			X	
9.	COO5505	რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ინდივიდუალური რესურსის მართვა ექსპლუატაციაში	X	X				
10.	RPS5605	რკინიგზის ელექტრომომარაგების სისტემები და ავტომატიზაცია	X	X			X	
11.	DCS5705	დისპეტჩერული მართვის სისტემები სარკინიგზო ტრანსპორტზე	X	X			X	
12.	DOC5805	ვაგონების დინამიკა	X	X			X	
13.	DAM5905	დისკრეტულ ავტომატთა თეორია სარკინიგზო ტრანსპორტზე	X	X				
14.	EEC6005	ელექტრომავლების ელექტრომოწყობილობა, მართვა და ავტომატიზაცია	X					
15.	IOR6105	რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ინტენსიფიკაცია	X	X				
16.	MMR6205	რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მათემატიკური მოდელირება	X	X			X	
17.	DCR6305	ვაგონების კონსტრუირება და გაანგარიშება	X	X			X	
18.	DAC6405	მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრომავლები ასინქრონული ამძრავით	X	X			X	
19.	PRT6505	რკინიგზის სადგურების განვითარების პრობლემები	X	X				
20.	STD6605	სარკინიგზო ავტომატიკის სასადგურო სისტემები და ტექნიკური დიაგნოსტიკა.	X	X				
„საავტომობილო ტრანსპორტის“ სპეციალიზაცია								
21.	FUENR05	საინჟინრო კვლევის საფუძვლები	X	X			X	
22.	TRASA05	საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა	X	X		X		X
23.	ECSE05	ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა	X	X			X	X
24.	ECOS105	ავტომობილების ეკოლოგიურობის ნორმები	X	X				X
25.	MVTRA05	საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების ავტო-ტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზა	X	X	X			
26.	ECOS205	ავტომობილების ეკოლოგიურობის ანალიზი	X	X				X
27.	VEREM05	ავტომობილის საიმედოობა და მისი მართვა	X	X				
28.	MVSD105	ავტომობილების სერვისის ოპერაციული სისტემები	X	X	X		X	
29.	FUROT05	საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონალური რგოლები	X	X	X		X	
30.	TEPRT05	საავტომობილო გადაზიდვების ტექნოლოგია, ორგანიზაცია და მართვა		X	X	X		
31.	MVSD205	ავტომობილების დიაგნოსტიკა	X	X	X			
„სპეციალური ტრანსპორტის“ სპეციალიზაცია								

32.	AMSTT05	სამაგისტრო თემის სამეცნიერო-ტექნიკური ტენდენციების გაცნობა (იდენტიფიცირება)	x	x				
33.	TMOSC05	მექანიკური რხევების თეორია	x	x			x	
34.	LSHAT05	შრომის უსაფრთხოება და ტვირთვა-განტვირთვის და ტრანსპორტირების დროს	x	x	x	x		x
35.	TRETR05	ტრიბოტექნიკა-ტრიბოლოგია	x	x			x	
36.	VIBRO05	ვიბრაციული მანქანები	x	x	x			
37.	HMSRT05	საზღვაო და სარკინიგზო ტერმინალების ამწე-სატრანსპორტო საშუალებები	x	x				
38.	LSMME05	ამწე-სატრანსპორტო მანქანები მანქანათმშენებლობაში	x	x				
39.	MMSRT05	საზღვაო და სარკინიგზო ტერმინალების მექანიზაციის საშუალებები	x	x	x			x
40.	ITTME05	საწარმო-ტექნოლოგიური ტრანსპორტი მანქანათმშენებლობაში	x	x	x			
41.	PHTCI05	პნევმო და ჰიდრავლიკური ტრანსპორტი სამშენებლო ინდუსტრიაში	x	x	x			
„სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სპეციალიზაცია								
42.	SCM0005	მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი	x	x	x			
43.	LRTL205	სატრანსპორტო კანონმდებლობა და ლოგისტიკის სამართლებრივი რეგულირება	x	x				
44.	TREC005	ტრანსპორტის ეკონომიკა	x	x	x		x	
45.	CBOTR05	საბაჟო საქმე ტრანსპორტზე	x	x				
46.	TRLOG05	სატრანსპორტო ლოგისტიკა	x	x	x		x	
47.	TRLC205	სატრანსპორტო ლოგისტიკური კომპლექსები	x	x	x			
48.	LSPL005	ლოგისტიკის სისტემების დაგეგმარება	x	x	x		x	
49.	OMIS205	საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა	x	x	x	x		x
50.	INRL205	საერთაშორისო და რეგიონალური ლოგისტიკა	x	x	x			x
51.	ITSE205	საერთაშორისო სატრანსპორტო საექსპედიციო მომსახურება	x	x	x	x		x
52.	RTI5005	სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება	x	x	x			
53.	ITIL005	ინფორმაციული ტექნოლოგიები ლოგისტიკაში	x	x	x			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	საათები	ECCTS კრედიტი\ საათი		ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო	სამუშაო/პროექტი	დამოუკიდებელი მუშაობა
				ECCTS კრედიტი\ საათი	საათები								
1.	BUCOE07	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)		5/135				45					90
	BUCOF07	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)		5/135				45					90
	BUCOG07	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)		5/135				45					90
	BUCOR07	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)		5/135				45					90
2.	TTTPE07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)		5/135	15			45					75
	TTTPF07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)		5/135	15			45					75
	TTTPG07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)		5/135	15			45					75
	TPTTR07	ტექნიკური თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)		5/135	15			45					75
3.	BCME007	სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი		5/135	30	30							75
1.სამაგისტრო თემატიკა „სარკინიგზო ტრანსპორტი“													
4	RTI5005	სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება		4/108	30		15						63
5	ITS5105	ინფორმაციის გადაცემის სისტემები სარკინიგზო ტრანსპორტზე		3/81	15		15						51
6	RRP5205	ჩქაროსნული სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვები		3/81	15		15						51
7	TOC5305	სარელსო წრედების თეორია		4/108	15		15	15					63
8	TOE5405	ელექტრული წევის თეორია		3/81	30								51
9	COO5505	რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ინდივიდუალური რესურსის მართვა ექსპლუატაციაში		3/81	30								51
10	RPS5605	რკინიგზის ელექტრომომარაგების სისტემები და ავტომატიზაცია		3/81	30								51
11	DCS5705	დისპეტჩერული მართვის სისტემები სარკინიგზო ტრანსპორტზე		3/81	15			15					51
12	DOC5805	ვაგონების დინამიკა		4/108	30		15						63
13	DAM5905	დისკრეტულ ავტომატთა თეორია სარკინიგზო ტრანსპორტზე		3/81	15		15						51
14	EEC6005	ელექტრომავლების ელექტრომწობილობა, მართვა და ავტომატიზაცია		3/81	15						15		51
15	IOR6105	რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ინტენსიფიკაცია		4/108	30		15						63
16	MMR6205	რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის		4/108	30		15						63

№	საგნის კოდი	საათები საგანი	ECTS კრედიტი\ საათი	ლექცია	სემინარი (ჯგუფში მოწაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო	სამომავალ/პროექტი	დამოუკიდებელი მოწაობა
		მათემატიკური მოდელირება									
17	DCR6305	ვაგონების კონსტრუირება და გაანგარიშება	5/135	30		30					75
18	DAC6405	მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრომაგვლები ასინქრონული ამძრავით	4/108	45							63
19	PRT6505	რკინიგზის სადგურების განვითარების პრობლემები	4/108	30		15					63
20	STD6605	სარკინიგზო ავტომატიკის სასადგურო სისტემები და ტექნიკური დიაგნოსტირება.	3/81	15		15					51
2.სამაგისტრო თემატიკა „საავტომობილო ტრანსპორტი“											
21	FUENR05	საინჟინრო კვლევის საფუძვლები	5/135	30		30					75
22	TRASA05	საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა	5/135	30		30					75
23	ECSE05	ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა	5/135	30		30					75
24	ECOS105	ავტომობილების ეკოლოგიურობის ნორმები	5/135	30		30					75
25	MVTRA05	საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების ავტო-ტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზა	5/135	30		30					75
26	ECOS205	ავტომობილების ეკოლოგიურობის ანალიზი	5/135	30		30					75
27	VEREM05	ავტომობილის საიმედოობა და მისი მართვა	5/135	30		30					75
28	MVSD105	ავტომობილების სერვისის ოპერაციული სისტემები	5/135	30		30					75
29	FUROT05	საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონალური რგოლები	5/135	30		30					75
30	TEPRT05	საავტომობილო გადაზიდვების ტექნოლოგია, ორგანიზაცია და მართვა	10/270	60		60					150
31	MVSD205	ავტომობილების დიაგნოსტიკა	5/135	30		30					75
3. სამაგისტრო თემატიკა „სპეციალური ტრანსპორტი“											
32	AMSTT05	სამაგისტრო თემის სამეცნიერო-ტექნიკური ტენდენციების გაცნობა (იდეტიფიცირება)	10/270		105						165
33	TMOSC05	მექანიკური რხევების თეორია	5/135	30		30					75
34	LSHAT05	შრომის უსაფრთხოება დატვირთვა-განტვირთვის და ტრანსპორტირების დროს	5/135	30	15				15		75
35	TRETR05	ტრიბოტექნიკა-ტრიბოლოგია	5/135	30		15			15		75
36	VIBRO05	ვიბრაციული მანქანები	6/162	45					30		87
37	HMSRT05	საზღვაო და სარკინიგზო ტერმინალების ამწე-სატრანსპორტო საშუალებები	4/108	30		15					63
38	LSMME05	ამწე-სატრანსპორტო მანქანები მანქანათმშენებლობაში	5/135	45		15					75
39	MMSRT05	საზღვაო და სარკინიგზო ტერმინალების მექანიზაციის საშუალებები	7/189	45		15			30		99
40	ITTME05	საწარმო-ტექნოლოგიური ტრანსპორტი მანქანათმშენებლობაში	6/162	30		15			30		87
41	PHTCI05	პნევმო და ჰიდრავლიკური ტრანსპორტი	7/189	45		30			15		99

№	საგნის კოდი	საათები საგანი	ECTS კრედიტი\ საათი	ლექცია	სემინარი (ჯგუფში მოწაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო	სამომავალ/პროექტი	დამოუკიდებელი მოწაობა
		სამშენებლო ინდუსტრიაში									
4.სამაგისტრო თემატიკა „სატრანსპორტო ლოგისტიკა“											
42	SCM0005	მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი	5/135	30	30						75
43	LRTL205	სატრანსპორტო კანონმდებლობა და ლოგისტიკის სამართლებრივი რეგულირება	5/135	30	30						75
44	TREC005	ტრანსპორტის ეკონომიკა	5/135	30	30						75
45	CBOTR05	საბაჟო საქმე ტრანსპორტზე	5/135	30	30						75
46	TRLOG05	სატრანსპორტო ლოგისტიკა	5/135	30	30						75
47	TRLC205	სატრანსპორტო ლოგისტიკური კომპლექსები	5/135	30		15				15	75
48	LSPL005	ლოგისტიკის სისტემების დაგეგმარება	5/135	30	30						75
49	OMIS205	საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა	5/135	30		30					75
50	INRL205	საერთაშორისო და რეგიონალური ლოგისტიკა	5/135	30		30					75
51	ITSE205	საერთაშორისო სატრანსპორტო საექსპედიციო მომსახურება	6/162	45		30					87
52	RTI5005	სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება	4/108	30	15						63
53	ITIL005	ინფორმაციული ტექნოლოგიები ლოგისტიკაში	5/135	30		30					75

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ვარლამ ლეკიაშვილი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი
ფაკულტეტის დეკანი

მანანა მოისწრაფიშვილი

ოთარ გელაშვილი

მოდული

სატრანსპორტო დამანქანებლობის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი #22, 13.02.2013 წ.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური